# უწმინდესი პატრიარქის კირილეს ინტრონიზაციის მეთოთხმეტე წლისთავზე ქრისტე მაცხოვრის ტაძარში საღმრთო ლიტურგია აღევლინა



უწმინდესი პატრიარქის კირილეს ინტრონიზაციის მეთოთხმეტე წლისთავზე ქრისტე მაცხოვრის ტაძარში საღმრთო ლიტურგია აღევლინა

***სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 01.01.2023.*** 1 თებერვალს, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს აღსაყდრების მეთოთხმეტე წლისთავზე, მოსკოვის ქრისტეს მაცხოვრის საკათედრო ტაძარში საღმრთო ლიტურგია აღევლინა. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა ღვთისმსახურება აღასრულა ინტრონიზაციის შესამოსელში, – იუწყება **მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის პრეს-სამსახური.**

მის უწმინდესობას თანამსახურებდნენ: ტაშკენტისა და უზბეკეთის მიტროპოლიტი ბიკენტი, შუა აზიის

სამიტროპოლიტო ოლქის მმართველი; სანკტ-პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტი ბარსანოფი; კრუტიცკისა და კოლომნის მიტროპოლიტი პავლე, მოსკოვის სამიტროპოლიტოში პატრიარქის ადგილმონაცვლე; მინსკისა და ზასლავის მიტროპოლიტი ბენიამენი, სრულიად ბელარუსის საპატრიარქო ეგზარქოსი; ვოსკრესენსკის მიტროპოლიტი დიონისე, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის პირველი ვიკარიუსი, მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველი; ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე; კალუგისა და ბოროვის მიტროპოლიტი კლიმენტი, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარე; ვორონეჟისა და ლისკინის მიტროპოლიტი სერგი; ომსკისა და თავრიდის მიტროპოლიტი ვლადიმერი; ლიპეცკისა და ზადონის მიტროპოლიტი არსენი; კურსკისა და რილსკის მიტროპოლიტი გერმანე; კრასნოიარსკისა და აჩინსკის მიტროპოლიტი პანტელეიმონი; იოშკარ-ოლისა და მარიის მიტროპოლიტი იოანე; ტომსკისა და ასინოვის მიტროპოლიტი როსტისლავი; ყაზანისა და თათრეთის მიტროპოლიტი კირილე; ივანოვო-ვოზნესენსკისა და ვიჩუგის მიტროპოლიტი იოსები; როსტოვისა და ნოვოჩერკასკის მიტროპოლიტი მერკური; ბრიანსკისა და სევსკის მიტროპოლიტი ალექსანდრე; კურგანისა და ბელოზიორის მიტროპოლიტი დანიელი; კაშირის მიტროპოლიტი თეოგნისტე, მონასტრებისა და მონაზვნების საქმეთა სინოდალური განყოფილების თავმჯდომარე; ტამბოვისა და რასკაზოვის მიტროპოლიტი თეოდოსი; ციმბირისა და ნოვოსპასკის მიტროპოლიტი ლონგინოზი; რიაზანისა და მიხაილოვის მიტროპოლიტი მარკოზი; ტვერისა და კაშინის მიტროპოლიტი ამბროსი; კემეროვოსა და პროკოფიევის მიტროპოლიტი არისტარქე; მიტროპოლიტი ელისე (ივანოვი); ნოვოსიბირსკისა და ბერდსკის მიტროპოლიტი ნიკოდიმე; მიტროპოლიტი იოსები (მასლენიკოვი); ორიოლისა და ბოლხოვის მიტროპოლიტი ტიხონი; სარანსკისა და მორდოვის მიტროპოლიტი ზინობი; ხაბაროვსკისა და პრიამურიის მიტროპოლიტი არტემი; ვოლოგდისა და კირილოვსკის მიტროპოლიტი საბა; სარატოვისა და ვოლსკის მიტროპოლიტი ეგნატე; არხანგელსკისა და ხოლმოგორისკის მიტროპოლიტი კორნელი; ვლადივოსტოკისა და პრიმორსკის მიტროპოლიტი ვლადიმერი; ირკუტსკისა და ანგარის მიტროპოლიტი მაქსიმილიანე; ბარნაულისა და ალტაის მიტროპოლიტი სერგი; ასტრახანისა და კამიზიაკის მიტროპოლიტი ნიკონი; პენზისა და ნიჟნელომოვის მიტროპოლიტი სერაფიმე; კოსტრომისა და ნერეხტის მიტროპოლიტი ფერაპონტე; კლინის მიტროპოლიტი ლეონიდე, აფრიკის საპატრიარქო ეგზარქოსი; მურმანსკისა და მონჩეგორსკის მიტროპოლიტი მიტროფანე; იჟევსკისა და უდმურტეთის მიტროპოლიტი ვიქტორინი; ეკატერინოდარისა და ყუბანის მიტროპოლიტი გრიგოლი; ჩიტისა და პეტროვსკ-ზაბაიკალის მიტროპოლიტი დიმიტრი; ფსკოვისა და პორხოვის მიტროპოლიტი ტიხონი, კულტურის საკითხებში საპატრიარქო საბჭოს თავმჯდომარე; ჩელიაბინსკისა და მიასკის მიტროპოლიტი ალექსი; მოსკოვის საპატრიარქოს მღვდელთმთავართა კრებული.

უწმინდეს მეუფეს თანამსახურება გაუწიეს, ასევე: პროტოპრესვიტერმა ვლადიმერ დივაკოვმა, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მდივანმა ქ. მოსკოვის საქმეებში; დეკანოზმა მიხეილ რიაზანცევმა, ქრისტე მაცხოვრის ტაძრის მეკლიტურმა; დეკანოზმა ნიკოლაოზ ბალაშოვმა, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მრჩეველმა; არქიმანდრიტმა ფილარეტმა (ბულეკოვი), მოსკოვის საპატრიარქოს სსკგ-ის თავმჯდომარის მოადგილემ; არქიმანდრიტმა ალექსიმ (ტურიკოვი), უწმინდესი პატრიარქის კირილეს პირადმა მდივანმა; დეკანოზმა ნიკოლოზ ლიშჩენიუკმა, მოსკოვის საპატარიარქოს სსკგ-ის თავმჯდომარის მოადგილემ; დეკანოზმა იგორ იაკიმჩუკმა, მოსკოვის საპატრიარქოს სსკგ-ის თავმჯდომარის მოადგილემ; არქიმანდრიტმა ბასიანემ (ზმეევი), მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის წარმომადგენელმა ბულგარეთის პატრიარქთან; დეკანოზმა მაქსიმე კოზლოვმა, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარემ; არქიმანდრიტმა სერაფიმემ (შემიატოვსკი), ჩეხეთის მიწებისა და სლოვაკეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა; მღვდელმა ოლეგ ოვჩაროვმა, შეიარაღებულ ძალებთან და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის სინოდალური განყოფილების თავმჯდომარემ, სამხედრო და საზღვაო სამღვდელოების პროტოპრესვიტერმა; მღვდელმა დიონისე კაზანცევმა, მოსკოვის ოლქში უწმინდესი პატრიარქის მდივანმა; მღვდელმა ვასილი ლოსევმა, მოსკოვის სამიტროპოლიტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა; მღვდელმონაზონმა ერმოგენმა (ბურიგინი), მოსკოვის საპატრიარქოს საფინანსო-ეკონომიკური ადმინისტრაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა; ქ. მოსკოვის ეპარქიალური საბჭოს წევრებმა; ეპარქიალური განყოფილებებისა და კომისიების ხელმძღვანელებმა, კეთილმოწესეებმა, მოსკოვისა და მოსკოვის სამიტროპოლიტოს სამღვდელოებამ.

თანამსახურთა შორის იყვნენ სტავროპიგიულური მონასტრების წინამძღვრის ადგილმონაცვლენი: არქიმანდრიტი თეოფილაქტე (ბეზუკლადნიკოვი), ახალი იერუსალიმის მონასტრის წინამძღვრის ადგილმონაცვლე; არქიმანდრიტი პავლე (კრივონოგოვი), სავინო-სტოროჟევსკის მონასტრის წინამძღვარის ადგილმონაცვლე; არქიმანდრიტი სერგი (ვორონკოვი), იოსებ-ვოლოცკის მონასტრის წინამძღვარის ადგილმონაცვლე; ილუმენი დიონისე (შლიონოვი), ანდრეევის მონასტრის წინამძღვრის ადგილმონაცვლე; ილუმენი იოანე (ლუდიშჩევი), სრეტენის მონასტრის წინამძღვრის ადგილმონაცვლე; მღვდელმონაზონი მეთოდე (ზინკოვსკი), ნიკოლო-უგრეშის მონასტრის წინამძღვრის ადგილმონაცვლე; მღვდელმონაზონი დანიელი (კონსტანტინოვი), ზაიკონოსპასის მონასტრის წინამძღვრის ადგილმონაცვლის მოვალეობის შემსრულებელი.

ტაძარში ლოცულობდნენ: ეკლესიის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სინოდალური განყოფილების თავმჯდომარე, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის პრეს-სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი ვ.რ. ლეგოიდა; დედათა მონასტრების ილუმენები, მოსკოვისა და მოსკოვის რეგიონების მღვდელმსახურები; სინოდალური და სხვა საეკლესიო დაწესებულებების თანამშრომლები, სამრევლო საბჭოების წარმომადგენლები, საეკლესიო სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლები და მოსწავლეები.

საზეიმო წირვას დაესწრნენ: რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ცენტრალურ ფედერალურ ოლქში ი.ო. შჩეგოლევი; სანკტ-პეტერბურგის გუბერნატორი ა. დ. ბეგლოვი; რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის დეპუტატი, ქ. მოსკოვის მერის მრჩეველი, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მრჩეველი მშენებლობის დარგში, ქ. მოსკოვში მართლმადიდებლური ტაძრების მშენებლობის პროგრამის კურატორი ვ.ი. რესინი; რუსეთის ფედერაციის ფედერალური საბჭოს სახელმწიფო დუმის თავმჯდომარე ფინანსურ ბაზარზე ა.გ. აქსაკოვი; ქ. მოსკოვის ნაციონალური პოლიტიკის, რეგიონთაშორისო კავშირებისა და ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვ.ი. სუჩკოვი; რუსეთის ქიმიკოსთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი ა.გ. გურიევი; რუსეთის მინერალური სასუქების მწარმოებელთა ასოციაციის პრეზიდენტი, РСПП-ის ბიუროს წევრი ა.ა. გურიევი; წმინდა ბასილი დიდის სახ. ფონდის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, მსოფლიოს რუსეთის სახალხო კრების თავმჯდომარის მოადგილე კ.ვ. მალოფეევი; სრულიად რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობა „მართლმადიდებელი რუსეთის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მ.მ. ივანოვი; სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საღვთისმსახურო გალობები შეასრულა ქრისტე მაცხოვრის ტაძრის გუნდმა (რეგენტი ი.ბ. ტოლკაჩევი).

ტელეარხებზე „სოიუზი" და „სპასი", ასევე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალურ საიტზე Patriarhiya.ru საპატრიარქო ღვთისმსახურება პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა.

მრჩობლ კვერექსში ჩართულ იქნა სავედრებელი ლოცვა ამჟამინდელი უწმინდესი პატრიარქის კირილესა და მისდამი რწმუნებული რუსეთის ეკლესიისათვის.

შემდეგ, უწმინდესმა მეუფემ წაიკითხა საგანგებო სავედრებელი ლოცვა წმინდა რუსეთისთვის.

სანკტ-პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტმა ბარსონოფიმ წაიკითხა ლოცვა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრის – უწმინდეს პატრიარქ კირილესთვის.

ზიარებისწინა ქადაგება წარმოთქვა მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველის მოადგილემ პავლოვო-პოსადის ეპისკოპოსმა სილუანემ.

ლიტურგიის დასრულების შემდეგ ტაშკენტისა და უზბეკეთის მიტროპოლიტმა ბიკენტიმ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრების სახელით გააჟღერა **მისალოცი ადრესი** და მის უწმინდესობას სამახსოვრო ჯვარი გადასცა.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ცენტრალურ ფედერალურ ოლქში ი.ო. შჩეგოლევმა რუსეთის პრეზიდენტ ვ.ვ. პუტინის მისალოცი წერილი წაიკითხა.

დასასრულ, რუსეთის ეკლესიის წინამძღვარმა საზეიმო ღვთისმსახურების მონაწილეებს საწინამძღვრო სიტყვით მიმართა.

---

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90012/